პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 178 (4172)

1970 წ. 10 სექტემბერი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში

# შეჯამდეს ამ პუნქტების მიხედვით

17 აგვისტოს გამოიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანება მოსახლეობაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის 1970 წლის საკავშირო შეჯიბრების პირობების შეცვლის შესახებ. ამის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო დადგენილება მოსახლეობაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის 1970 წლის რესპუბლიკური შეჯიბრების პირობების შეცვლის თაობაზე.

კომიტეტმა დაადგინა ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობა 1970 წელს შეჯამდეს შემდეგი პუნქტების მიხედვით:

1. **მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა.** აქ გათვალისწინებული უნდა იქნეს ფიზკულტურელთა რიცხვი (პროცენტული შეფარდებით მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან — ფიზკულტურის კომიტეტებისთვის, მშრომელთა და მოსწავლეთა საერთო რიცხვთან — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებებისთვის), მათ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადება (პროცენტული შეფარდებით მოსახლეობის, მშრომელთა და მოსწავლეთა რაოდენობასთან);

2. **მასობრივი სპორტული მუშაობა.** აქ გათვალისწინებული იქნება თანრიგოსანთა და სპორტის ოსტატობის კანდიდატთა რიცხვი (პროცენტული შეფარდებით მოსახლეობის, მშრომელთა და მოსწავლეთა რაოდენობასთან), რაიონების, ქალაქების, ოლქების (ასსრ), ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გამოსვლების შედეგები ჭაბუკთა (იუნიორთა) რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, საანგარიშო წლის მანძილზე საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდების მინიჭება (პროცენტული შეფარდებით მოსახლეობის, მშრომელთა და მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან);

3. **მუშაობა სპორტული ოსტატობის ზრდისთვის.** აქ მხედველობაში მიიღება სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდების მინიჭება საანგარიშო წლის მანძილზე (პროცენტული შეფარდებით მოსახლეობის, მშრომელთა, მოსწავლეთა რიცხვთან), რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წევრთა მომზადება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში შემავალ სახეობებში სსრ კავშირის სპორტის ოსტატისა და სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის დონეზე (პროცენტული შეფარდებით 1970 წლის გეგმასთან), რაიონების, ქალაქების, ოლქების (ასსრ) სპორტსმენების მიერ რესპუბლიკის ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა, აგრეთვე, სსრ კავშირის ჩემპიონატებში მოგროვილი ქულათა ჯამი (სპორტის სახეობათა მიხედვით პირველი სამი ადგილის გათვალისწინებით), რესპუბლიკური, საკავშირო, ევროპისა და მსოფლიო რეკორდების რიცხვი (რესპუბლიკის რეკორდების კოეფიციენტი — 1, სსრ კავშირისა — 2, ევროპისა — 3, მსოფლიოსი — 4).

# გოგოქარი ბილიკები და ტრიბუნები

ბარსელონა, 8 სექტემბერი. კატალონიის ამ ქალაქის მთაგორიან გარეუბანში მდებარე შესანიშნავი აუზის — „ბერნარდო პიკორნელის" ცისფერი ბილიკები პირდაპირ დუღს. ჯერ ერთი, სამხრეთული მზე ისევ კარგა მაგრად აცხუნებს, მეორეც, — ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე მოცურავეები, წყალში მხტომელები და წყალბურთელები მძაფრ ჭიდილში ცდილობენ უძლიერესთა სახელის მოხვეჭას... ბობოქრობენ ტრიბუნებიც, სადაც მუდამ დიდი ხალხმრავლობაა, ექსპანსიური და ტემპერამენტიანი ესპანელები მხურვალედ განიცდიან შეჯიბრების პერიპეტიებს და ძალიან დიდ გულითადობას იჩენენ სპორტსმენთა მიმართ. დღეს, მაგალითად, მათ ისევ დიდი სიხარული მოუტანა ნიჭიერმა შვედმა მოცურავემ გ. ლარსონმა, რომელმაც წინადღით დამყარებულ მსოფლიო რეკორდს (400 მ თავისუფალი სტილით — 4.02,6) ახალი გამარჯვება დაუმატა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. მისი შედეგი — 4.36,2 — ევროპის ახალი რეკორდია. ლარსონს ამჯერადაც ცნობილ ჰ. ფასნახტთან (გფრ — 4.36,9) მწვავე ორთაბრძოლა მოუწია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს შესანიშნავი სპორტსმენები ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობენ და იქ წვრთნას თავისუფალი სტილით ცურვის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტთან გადიან.

III ადგილზეა მ. ჰეხმანი (გდრ) — 4.43,5.

მაყურებელი მხურვალედ მიესალმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულ ე. ზემიშს (გდრ). ამ მშვენიერმა ქალიშვილმა მძლავრი საფინიშო ბიძგით საგრძნობლად ჩამოიტოვა ყველა მეტოქე და ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 4.32,9. მწვრთნელები არ შემცდარან, როცა სახელმოხვეჭილი გ. ვეცკოს ნაცვლად, რომელმაც წინადღით ევროპული რეკორდის გამეორებით (59,6) გდრ-ის გუნდს ოქროს მედალი მოუტანა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, ზემიში გამოიყვანეს 400-მეტრიან დისტანციაზე (სხვათა შორის, ზემიშმა სწორედ ვეცკოს ევროპული რეკორდი — 4.36,1 — მოხსნა). აქ მერვე იყო ო. კუდაშოვა, მაგრამ მისი შედეგი — 4.46,6 — სსრ კავშირის ახალი რეკორდია. II ადგილზეა შვედი გ. იონსონი — 4.36,8, ხოლო III — კ. ტიულინგი (გდრ) — 4.38,0.

4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. მათ 3 წუთსა და 54,4 წამში დაფარეს ეს მანძილი და 0,5 წამით გააუმჯობესეს აშშ-ს ნაკრების მსოფლიო რეკორდი. თანაც, პირველ ეტაპზე მოასპარეზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. მათესმა გულაღმა ცურვაში 56,9 წამი აჩვენა, რაც 0,9 წამით უკეთესია მისივე მსოფლიო რეკორდზე. II ადგილი დაიკავეს ფრანგებმა (3.57,6), ხოლო III — სსრ კავშირის წარმომადგენლებმა — 3.58,0. საბჭოთა გუნდში გამოდიოდნენ ბათუმელი ვ. კრასკო, მოსკოველი ნ. პანკინი, სოჭელი ვ. ნემშილოვი და მოსკოველი ლ. ილიჩოვი. კრასკო გუნდში იმის გამო შეიყვანეს, რომ მან 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ფინალის საგზური მოიპოვა (საქართველოს ახალი რეკორდით — 1.01,7), ხოლო წინასწარ გაცურვაში მოასპარეზე ვ. მაზანოვი ფინალში ვერ მოხვდა.

თავისუფალი სტილით 200-მეტრიან დისტანციაზე წინასწარი გაცურვა ევროპის ახალი რეკორდით აღნიშნა ფასნახტმა — 1.56,4. ფინალის საგზურები მოიპოვეს, აგრეთვე, გ. კულიკოვმა და ვ. ბურემ.

100 მეტრზე ბატერფლაით ფინალში ყველას აჯობა 16 წლის უნგრელმა ქალიშვილმა ა. დიარმატიმ — 1.05,0 (უნგრეთის რეკორდი). II ადგილზეა ჰ. ლინდნერი (გდრ) — 1.05,6, III — ე. კოხი (გფრ) — 1.05,8. მ. ტუტაევა და ვ. ვასკევიჩი უხეიროდ გამოვიდნენ — შესაბამისად VI და VII ადგილები დაიკავეს.

200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი (2.29,8) დაამყარა ლ. მილენინამ და ფინალის საგზურიც მოიპოვა. ფინალში გავიდნენ, აგრეთვე, 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში მოასპარეზე საბჭოთა ქალებიც.

სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა მოსკოველმა ვ. ვასინმა — 529,80 ქულა. ამ სახეობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატება იტალიელებმა იზეიმეს: ოქროს დაეუფლა ფ. კანიოტო (555,21 ქულა), ხოლო ვერცხლს — კოშკიდან ხტომაში მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კ. დიბიასი (534,72). სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. სტრახოვი VI ადგილზე გავიდა.

საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა გუნდი ფინალურ ექვსეულში გავიდა — I ადგილი მოიპოვა თავის ქვეჯგუფში. ფინეთის გუნდის დამარცხების (12:0) შემდეგ, მან გუშინ ასევე დიდი ანგარიშით (12:1) აჯობა ბელგიელებს.



# ყურადღება — წარმატების საწინდარი

— შაშში კომბინაციური, დაუნდობელი ბრძოლა მხიბლავს. აქ ერთი შეცდომაც კი, როგორც წესი, საბედისწეროა, ამიტომ მთელი პარტიის მანძილზე სულ უნდა ფხიზლობდე. ეს კი ადვილი როდია, მით უმეტეს, რომ შეხვედრა ოთხ საათს გრძელდება.

— მაგრამ შენთვის ეს ძნელი არ უნდა იყოს, ისე ხშირად იგებ.

იამზე ტყაბლაძე იღიმება. მოკრძალებული ქუთაისელი სტუდენტი (პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსზე სწავლობს) საქართველოს ქალთა პირველი ჩემპიონია 64-უჯრიან შაშში. ეს ტურნირი 1966 წელს ჩატარდა. იამზემ შემდეგ კიდევ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის სახელი. იგი ოსტატობის კანდიდატია (შაშში ოსტატი ქალი ჯერ არა გვყავს).

ჩვენ ვსაუბრობდით თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში ქალთა VI საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დროს. იამზე ნანა ალექსანდრიას გულშემატკივრობდა და ნანას დედასთან — ქალბატონ შურასთან ერთად (თქვენ მათ მ. ზარგარიანის ფოტოსურათზე ხედავთ) ადევნებდა თვალს მის თამაშს.

— ალბათ შენც გსურს მიაღწიო ნანას მსგავს წარმატებებს?

— ვის არ სურს? მაგრამ მე საკავშირო პირველობებში იშვიათად ვმონაწილეობ. სწავლას ბევრი დრო სჭირდება. მხოლოდ ეს არ არის მიზეზი. 64-უჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის გარდა სხვა ტურნირები თითქმის არ ეწყობა, საერთაშორისო შაშში კი ქალთა ტურნირები საერთოდ არ ტარდება, არც ჩვენში და არც საზღვარგარეთ. ამბობენ, მალე გადაწყდება ამ შეჯიბრებების გამართვაო. მაშინ ალბათ მეც ვცდი ძალას.

— საერთაშორისო შაშს თუ თამაშობ?

— თამაში, რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ ნავარჯიშევი არა ვარ. უნდა გამოგიტყდეთ: მწვრთნელი არა მყავს. თამაშს მხოლოდ ტურნირებში მონაწილეობით ვხვეწ. ჩვენს დროში ძნელია უმწვრთნელოდ ვარჯიში, მაგრამ, სამწუხაროდ, მწვრთნელთა მომზადებისთვის არავინ ზრუნავს.

სასიამოვნოა, რომ ამ ბოლო დროს შაშს ჩვენში მეტი ყურადღება ექცევა. ამ სიტყვების დასტურად ისიც კმარა, რომ საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში უკონკურსოდ ითამაშა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა, ოსტატმა ირაიდა სპასკაიამ. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ ჩვენი ნიჭიერი მოშაშეებიც შესამჩნევად დაოსტატდებიან, თამამად გამოვლენ ფართო სარბიელზე.

თ. გიორგაძე.

# საქართველოს მხედრები — II ადგილზე

მინსკი, 8 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცხენოსნობაში. ერთობ დაძაბული ბრძოლის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა რსფსრ-ს ნაკრებმა. საქართველოს წარმომადგენლები II ადგილზე გავიდნენ. III ადგილი წილად ხვდათ ესტონელებს.

● ●

# კალენდარი შეიცვალა

მოსკოვი, 8 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). შეიცვალა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების კალენდარი. გთავაზობთ ახალ განრიგს:

თავისუფალი ჭიდაობა. კიშინიოვი. 30 ოქტომბერი-3 ნოემბერი.

კლასიკური ჭიდაობა. კიშინიოვი. 30 ოქტომბერი-3 ნოემბერი.

ძალოსნობა. კიშინიოვი. 30 ოქტომბერი-3 ნოემბერი.

შაში. კოტოვსკი (მოლდავეთის სსრ). 24 ოქტომბერი-4 ნოემბერი.

ჭადრაკი. დუბოსარი (მოლდავეთის სსრ). 24 ოქტომბერი-4 ნოემბერი.

ხელბურთი. ლუცკი (უკრაინის სსრ). 24 ოქტომბერი-4 ნოემბერი.

ფრენბურთი. ვილიანდი (ესტონეთის სსრ). 10-22 ნოემბერი.

მძლეოსნობა. სოჭი. 28-31 ოქტომბერი.

ველოსპორტი. ნალჩიკი. 23-27 ოქტომბერი.

# დღეს ნომერშია:

ცურვა

წყალში ხტომა

წყალბურთი

# ცნობები ბარსელონიდან

მოცურავე ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატში ლიდერობენ: გდრ — 81 ქულა, სსრ კავშირი — 42, უნგრეთი — 26, გფრ — 17, ინგლისი და შვეცია — 15-15.

ოქროს ყველაზე მეტი მედალი (5) მიიღეს გდრ-ის სპორტსმენებმა. ოქროს 3 მედალი აქვთ სსრ კავშირის წარმომადგენლებს. მათ აგრეთვე ბრინჯაოს 6 მედალი მოიხვეჭეს.

ფერმის თასზე წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში ლიდერობენ გდრ-ისა და იტალიის გუნდები — 21-21 ქულა. სსრ კავშირის სპორტსმენებს 11 ქულა აქვთ.

# საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1969-1972 წლებისთვის

ტანვარჯიში

## სათანრიგო მოთხოვნები ვაჟები და ქალები

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი — შეასრულოს ერთ-ერთი შემდეგი სათანრიგო მოთხოვნებიდან:

| შეჯიბრების დასახელება | მრავალჭიდში დაკავებული ადგილი | ცალკეულ სახეობებში დაკავებული ადგილი | ქულათა ჯამი მრავალჭიდში ვაჟები | ქულათა ჯამი მრავალჭიდში ქალები |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპიური თამაშები | I-VI | I-III | 113,0 | 76,0 |
| მსოფლიო პირველობა | I-VI | I-III | 113,0 | 76,0 |
| ევროპის პირველობა | I-VI | I-III | — | — |
| სსრ კავშირის პირველობა ან თასის გათამაშება (სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამა) | I | I | 113,0 | 76,0 |

სპორტის ოსტატი — სსრ კავშირის პირველობაში ან თასის გათამაშებაში ერთხელ, ან მოკავშირე რესპუბლიკების, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქების, მოსკოვისა და ლენინგრადის პირველობებში, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა საკავშირო და რესპუბლიკურ პირველობებში, რსფსრ-ს ზონალურ შეჯიბრებებში ორჯერ მრავალჭიდის სავალდებულო და ნებისმიერ ვარჯიშებში მოაგროვონ: ვაჟებმა — 108 ქულა, ქალებმა — 72.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი — სსრ კავშირის პირველობაში ერთხელ ან არანაკლებ ქალაქის მასშტაბის შეჯიბრებებში ორჯერ მრავალჭიდის ნებისმიერ ვარჯიშებში მოაგროვონ: ვაჟებმა — 108 ქულა, ქალებმა — 72.

შენიშვნა: ყოველ მითითებულ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის თანრიგის მოპოვებისთვის ტანმოვარჯიშე ორჯერ გამოდის ნებისმიერი პროგრამით.

I თანრიგი — არანაკლებ ქალაქის მასშტაბის შეჯიბრებაში მრავალჭიდის სავალდებულო და ნებისმიერ ვარჯიშებში მოაგროვონ: ვაჟებმა — 102 ქულა, ქალებმა — 68.

II თანრიგი — ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში და მრავალჭიდის სავალდებულო და ნებისმიერ ვარჯიშებში მოაგროვონ: ვაჟებმა — 102 ქულა, ქალებმა — 68.

III თანრიგი — ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში მრავალჭიდის სავალდებულო ვარჯიშებში მოაგროვონ: ვაჟებმა — 48 ქულა, ქალებმა — 32.

მოზარდთა I თანრიგი — ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში მრავალჭიდის სავალდებულო ვარჯიშებში მოაგროვონ: ჭაბუკებმა — 54 ქულა, გოგონებმა — 36.

მოზარდთა II თანრიგი — ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში მრავალჭიდის სავალდებულო ვარჯიშებში მოაგროვონ: ჭაბუკებმა — 51 ქულა, გოგონებმა — 34.

მოზარდთა III თანრიგი — ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებაში მრავალჭიდის სავალდებულო ვარჯიშებში მოაგროვონ: ჭაბუკებმა — 40 ქულა, გოგონებმა — 32.

### თანრიგის დადასტურება

თანრიგის დადასტურებისთვის საჭიროა შესრულდეს სათანრიგო მოთხოვნები.

ტანმოვარჯიშეებს, რომლებიც უფრო მაღალი თანრიგების პროგრამით გამოდიან და თავიანთი თანრიგების მოთხოვნების შესაბამის ქულებს დააგროვებენ, თანრიგი უმტკიცდებათ.

### სათანრიგო მოთხოვნათა შესრულების პირობები

1. ბიჭები და გოგონები შეიძლება გამოვიდნენ:

მოზარდთა III თანრიგის პროგრამით — არანაკლებ 12 წლის ასაკის ბიჭები და არანაკლებ 11 წლის გოგონები;

მოზარდთა II თანრიგის პროგრამით — არანაკლებ 13 წლის ბიჭები და არანაკლებ 12 წლის გოგონები;

მოზარდთა I თანრიგის პროგრამით — არანაკლებ 14 წლის ბიჭები და არანაკლებ 12 წლის გოგონები.

2. 14 წელზე მეტი ასაკის ბიჭებს და 12 წელზე მეტი ასაკის გოგონებს უფლება აქვთ იასპარეზონ მოზარდთა ნებისმიერი თანრიგის პროგრამით.

3. ის ჭაბუკები და გოგონები, რომლებიც მოზარდთა I თანრიგის მოთხოვნებს შეასრულებენ, შეიძლება დაიშვან მოზრდილთა პროგრამით ასპარეზობაში:

II თანრიგის პროგრამით — ჭაბუკები 14 წლიდან, გოგონები 13 წლიდან;

I თანრიგის პროგრამით — ჭაბუკები 15 წლიდან, გოგონები 13 წლიდან;

სპორტის ოსტატობის კანდიდატის პროგრამით — ჭაბუკები 17 წლიდან, გოგონები 14 წლიდან;

სპორტის ოსტატის პროგრამით — ჭაბუკები 18 წლიდან, გოგონები 15 წლიდან.

მოზრდილთა შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება აქვთ: ჭაბუკებს 18 წლიდან, გოგონებს 16 წლიდან.

# ისევ 4:0



სურათზე: სსრ კავშირის ნაკრების წევრი, მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი თამაშის დროს.

ხაკლესის ფოტო.

✦ ზიგენი, 9 სექტემბერი. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე მსოფლიო ოლიმპიადის IV ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ფარერის კუნძულების გუნდი — 4:0. I ჯგუფში სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი — ავსტრალია 3:1, ესპანეთი — მონაკო 4:0, პერუ — დომინიკანის რესპუბლიკა 2:2. ტუნისელები დაწინაურდნენ ბერძნებთან მატჩში — 1:0 (3 პარტია გადაიდო). 4 ტურის შემდეგ მოწინავეთა შორის ასეთი მდგომარეობაა: სსრ კავშირი — 14 ქულა, ესპანეთი — 12,5, პოლონეთი — 11,5, ავსტრალია — 10. დანარჩენ ჯგუფებში ლიდერობენ: II. იუგოსლავია—14,5, ინდონეზია — 9,5 (2), ინგლისი —9 (2), კანადა — 8 (2); III. აშშ — — 14,5, გდრ — 14, ჰოლანდია— 10,5, ბრაზილია — 9 (1); IV — უნგრეთი — 14, დანია — 13, რუმინეთი — 10,5; V. ჩეხოსლოვაკია — 13 (1), ნორვეგია — 10 (2); VI. ბულგარეთი — 13,5, ავსტრია — 12, გფრ — 10 (2).

# ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში

## რბენა წამალია

სმოლენსკი, 8 სექტემბერი. ადგილობრივი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრასთან გაიხსნა რბენის მოყვარულთა კლუბი.

ახალ კლუბში მოვიდნენ მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერი ა. ბოლოტნიკოვი, რომელსაც ჰიპერტონიის პირველი ნიშნები აღმოაჩნდა, და იურისტი ი. სორინი, რომელიც სტენოკარდიას უჩიოდა.

— უკვე რამდენიმე მეცადინეობის შემდეგ თავს უკეთ ვგრძნობ, — ამბობს ა. ბოლოტნიკოვი.

კლუბის წევრები კვირა-დღეს სპეციალისტების ხელმძღვანელობით მეცადინეობენ, შემდეგ კი მწვრთნელები ადგენენ პროგრამას მთელი კვირისთვის.

ახალი კლუბის წევრია 30-70 წლის ასაკის 50 კაცი.

## სპორტის სასახლეები სოფლად

პოგრანიჩნი (პრიმორსკის მხარე), 8 სექტემბერი. აქ მეურნეობაში ჩაბარდა „უროჟაის" სპორტის სასახლე. ორსართულიან შენობას აქვს ვრცელი სპორტული დარბაზი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებით, ოთახები მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკის სათამაშოდ.

ეს მეორე სასოფლო სპორტის სასახლეა ამ მხარეში. პირველი სოფელ პოკროვკაში აიგო. სპორტული კომპლექსების — ფიზკულტურის სასახლეებისა და სტადიონების მშენებლობა მთავრდება კიდევ ორ სოფელში — ჩერნიგოვკასა და კიროვკაში.

# პატარა საწარმოს დიდი ცხოვრება

კასპის ქარხანა „ელექტროაპარატი" სულ 612 მუშა-მოსამსახურეს ითვლის. სამაგიეროდ, ამ პატარა საწარმოს 400 ფიზკულტურელი ჰყავს. ციფრების ასეთი შეფარდებით ბევრი ქარხანა ვერ მოიწონებს თავს.

კოლექტივის სული და გულია შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიის უფროსი, 60 წლის გ. ჩიგილაშვილი, რომელიც დიდად ზრუნავს ფიზკულტურის განვითარებისთვის. 1967 წელს ქარხანაში მხოლოდ ერთი სპორტული სექცია მუშაობდა, ახლა კი მათი რიცხვი შვიდამდე გაიზარდა. 1967 წელს ერთადერთი სპორტული მოედანი ჰქონდათ, ახლა კი მთელი ჯანმრთელობის ქალაქია შექმნილი — ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ქალაქი. უწინ სულ რამდენიმე თანრიგოსანი ჰყავდათ, ახლა კი ამ ქარხანაში საკავშირო ასპარეზობათა პრიზიორები მუშაობენ.

რა თქმა უნდა, ერთი კაცი ვერას გახდებოდა — ჩიგილაშვილს ეხმარებოდნენ აქტივისტები, ეხმარებოდა თავისი ვაჟი. იური საწარმოს ავტომატურ სატელეფონო სადგურში მუშაობს და სპორტისთვისაც მუდამ პოულობს დროს. იგი პირველთანრიგოსანია ფეხბურთსა და მძლეოსნობაში, მეორეთანრიგოსანი — ცურვასა და სათხილამურო სპორტში. სხვათა შორის, სწორედ მისი მონდომებით გავიდნენ ქარხნის მოთხილამურეები IV ადგილზე ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის სპარტაკიადაში.

სპორტის ენთუზიასტია საამწყობო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი რ. გორგიშელი. იგი ქარხნის ვეტერანია, საწარმოს შექმნის დღიდან აქ მუშაობს. ამასთან, გორგიშელი რაიონის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარეა, საამქროს ფიზორგიც გახლავთ და ქარხნის სპარტაკიადაში შვიდ სახეობაში მოიპოვა გამარჯვება. სხვათა შორის, წლეულს სპარტაკიადა ყველაზე ხალხმრავალი იყო — სტარტზე 328 კაცი გამოვიდა.

შრომისა და ხელფასის განყოფილების ნორმადარი, მძლეოსანი თ. ჟუკოვა კომკავშირის კომიტეტის წევრია. სწორედ მისი მონდომების შედეგიც იყო, რომ ქარხანაში წარმატებით შესრულდა სპორტულმასობრივი და თავდაცვითი მუშაობის საკავშირო კომკავშირული დათვალიერების მძლეოსნური პროგრამა. სტარტზე 315 კაცი გამოვიდა და მათგან 235 კომკავშირელი იყო. დათვალიერების შედეგად 53 კაცმა პირველად მოიპოვა თანრიგოსნის სახელი. ეს მათი პირველი ნაბიჯებია სპორტში, გ. ზეინაშვილი კი სპორტის ოსტატია სამბოში — 1968-69 წლებში სსრ კავშირის პირველობის მესამე პრიზიორი იყო. ინჟინერმა ვ. კანდელაკმა შარშან სპორტის ოსტატობის კანდიდატის სახელი მოიპოვა შაშში.

ქარხანაში დიდი პატივისცემით ეკიდებიან საწარმოო ტანვარჯიშს და ტურიზმსაც.

საწარმოს საპატიო დაფაზე სამი სპორტსმენის სურათებს ნახავთ. ესენი არიან ფეხბურთელები ს. ქვათაძე და ნ. ბერიანიძე, სამბისტი ს. ახალკაცი. სამივე პირველთანრიგოსანია. მათი დამსახურებაა, რომ ამ ქარხნის ნაწარმი ძალიან მოსწონთ 40 ქვეყანაში (დავასახელოთ თუნდაც კუბა, რუმინეთი, ინგლისი...). მათი დამსახურებაა ისიც, რომ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი მ. ქუთათელაძე აქტივისტებს დიდად ემადლიერება.

ასეთი აქტივით მართლაც შეიძლება დიდი წარმატებისთვის ბრძოლა.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

კასპი.

• • •





სურათებზე: მიმდინარეობს ქარხნის პირველობა ფეხბურთში; საწარმოო ტანვარჯიში ინსტრუმენტულ საამქროში.

რ. გორგიშელის ფოტო.



## სსრ კავშირის პირველობა

# პერსპექტივა არის

**I ჯგუფი**

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 8 სექტემბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი)— ასკ (ხაბაროვსკი) 3:0 (1:0).

„ლოკომოტივი": ბერიძე, ფრიდმანი, პანოვი, ქელეხიძე, გოგიჯანაშვილი, ძაგანია, ბახტაძე, ყიფიანი, შხვაცაბაია, ხუციშვილი, ჭელიძე.

ასკ: მოგილიოვი (კოჟემიაკო), სავენკოვი, ბოგრადი, იაზოვსკიხი, ჟიტნიკოვი, კანდალინცევი, სლესარევი, რიაშინი, მარკინი (მოროზოვი), გრიშინი, გორდეევი.

მსაჯი ი. კაზარი (კიევი).

თბილისის „ლოკომოტივს" წინა 2 ტურის მატჩების თამაში ნაცვლად საკუთარი მინდვრისა, როგორც ეს კალენდრით იყო გათვალისწინებული, სტუმრად მოუხდა. ისეთი ძლიერი გუნდი, როგორიცაა უმაღლესი ლიგის ყოფილი ბინადარი და ახლანდელი ლიდერი „ყაირათი", ალმა-ათაში დამარცხებულ იქნა, ხოლო ყარაგანდაში ლოკომოტიველებმა ქულა აიღეს „შახტიორთან" შეხვედრაში. დაუმატეთ ამას მოსკოვში მოპოვებული გამარჯვება იქაურ თანაკლუბელებთან და ნათელი გახდება, რომ თბილისის „ლოკომოტივს" სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების მნიშვნელოვანი პერსპექტივა შეექმნა.

განვლილი შეხვედრა ხაბაროვსკის არმიელთა გუნდთან თბილისელებმა აქტიურად, დიდი მონდომებით ჩაატარეს. მართალია, სტუმრებსაც ჰქონდათ ძლიერი კონტრიერიშები და სახიფათო მომენტები, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს მათი უვნებელყოფა და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს. არმიელებს 35-ე წუთზე მიეცათ ბურთის გატანის რეალური შანსი, როცა რიაშინის მოცელვისთვის „ლოკომოტივის" კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ ბერიძემ კარგად აუღო ალღო მარკინის დარტყმულ ბურთს და აიღო იგი.

ანგარიში გაიხსნა 25-ე წუთზე. ხაბაროვსკელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა დაახლოებით 30 მეტრიდან, და ძაგანიამ პირველი წარმატება მოუტანა თავის გუნდს.

შესვენების მერე, მრავალი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, ლოკომოტიველებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს მეტოქის კართან და იმავე ძაგანიამ მეორედ აიღო არმიელთა კარი.

სტუმრებმა რამდენიმეჯერ სცადეს გარდატეხა შეეტანათ თამაშში. ერთერთ მომენტში ისინი ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ თბილისელთა კარი ფრიდმანმა იხსნა. ამის შემდეგ შეტევაზე კვლავ მასპინძლები გადავიდნენ და ყიფიანმა მესამე გოლი გაიტანა.

**რ. ქორიძე.**

**უმაღლესი ჯგუფი**

# 0:0

**მოსკოვი**, 8 სექტემბერი. აქ, საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში, ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „ზენიტი".

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

# რევანში არ შედგა

**II ჯგუფი**

**II ზონა**

გორი. ქალაქის სტადიონი. 8 სექტემბერი.

„დილა" (გორი) — „დინამო" (ბათუმი) 0:0.

„დილა": ჩლაიძე, ნასარიძე, კობიაშვილი, გლავადსკი, ამბრიაშვილი, ეზუხბაია, ჭეიშვილი, გელდიაშვილი, კაპანაძე, ბურჯანაძე მაღრაძე.

„დინამო": პავლოვი, გიორგაძე, წვერავა (ჩხაიძე), სირბილაძე, გაგუა, ილურიძე, ვაჟა კვიტაიშვილი (მაჩხელიანი), ქორიძე, ჩხარტიშვილი, ესებუა, რამიშვილი.

მსაჯი გ. კარაპეტიანი (ერევანი).

რესპუბლიკის ორი გუნდის კალენდარულმა შეხვედრამ მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველ წრეში „დილა" დამარცხდა ბათუმში და ახლა რევანშის აღების აუცილებლობის წინაშე იდგა, მაგრამ გუნდმა ვერ შეძლო ამ ამოცანის შესრულება, თუმცა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა და არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნა.

პავლოვს თავიდანვე სრული დატვირთვით მოუხდა თამაშში ჩაბმა. გორელთა ერთ-ერთი იერიშისას საუკეთესო პოზიციაში აღმოჩნდა ბურჯანაძე, მაგრამ მან იჩქარა და უზეიროდ დაარტყა. ტაიმის დასასრულს მასპინძლებმა რიცხობრივი უპირატესობაც მიიღეს, ვინაიდან მსაჯმა უდიერი შეკამათებისთვის მინდვრიდან გააძევა გიორგიადი.

„დილა" ხშირად უტევდა შესვენების შემდეგაც. დროდადრო ბურთი დიდხანს ტრიალებდა ბათუმელთა ნახევარზე, გელდიაშვილმა ძელს მოახვედრა ძლიერი დარტყმა, მერე პავლოვმა იხსნა თავისი გუნდის კარი, მაგრამ გორელთა ამაო მოწადინების მთავარ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მათი თავდამსხმელები შეტევას აწარმოებდნენ უსისტემოდ, ქაოტურად, ხოლო „დინამო" თავს ორგანიზებულად და აზრიანად იცავდა.

**გ. გოზალიშვილი.**

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# 1:0, 0:0, 2:0, 3:0

**„ბ" კლასი**

**II ზონის I ქვეჯგუფი**

5 სექტემბერს გაიმართა მორიგი შეხვედრები: „მეტალურგი" (რუსთავი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 1:0, „კახეთი" (თელავი) — „სულორი" (ვანი) 0:0, „სპარტაკი" (რიაზანი) — „ორბიტა" (ბელაია კალიტვა) 2:0, „სპარტაკი" (სარანსკი) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 3:0.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „სამცხე" (აწყური) — „იმერეთი" (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

თამაში საინტერესო გამოდგა, ორივე გუნდს ცდა არ დაუკლია წარმატების მისაღწევად. გამარჯვება წილად ხვდათ მასპინძლებს — ამ ერთადერთი გოლის ავტორია რეხვიაშვილი.

● „ფეიქარი" (წულუკიძე) — „მესხეთი" (ახალციხე) 5:2. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

წულუკიძელთა სწრაფი, მძლავრი იერიშები იმდენად მოულოდნელი და ეფექტური იყო, რომ უკვე 25-ე წუთისთვის ისინი დაწინაურდნენ ანგარიშით 3:0, თანაც, სამივე გოლი კირთაძემ გაიტანა. სტუმრების ამ მარცხს ხელი შეუწყო მათი მეკარის უჩიძის სუსტმა თამაშმა. ასეთი ანგარიშის მიუხედავად, ახალციხელებმა შესვენების შემდეგ ზედიზედ გაქვითეს 2 გოლი, მაგრამ ძალა მაინც არ ეყოთ: „ფეიქარმა" კიდევ 2 ბურთი გაიტანა და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვა.

● „ქართლი" (გორის რაიონი)— „მშენებელი" (ბორჯომი) 3:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

გორელებმა საწადელს კარგად ჩატარებული პირველი ტაიმის მეობებით მიაღწიეს. შესვენებაზე ისინი ისე წავიდნენ, რომ მეტოქის კარში გატანილი ჰქონდათ 3 „მშრალი" ბურთი (რევაზიშვილი — 2, ნოზაძე).

რადიკალურად შეიცვალა ბრძოლის სურათი მეორე ნახევარში. „მშენებლის" თავდამსხმელებმა ბევრს უტევდნენ, პეტროსიანმა და ჩადუნელმა 2 ბურთიც გაიტანეს, მაგრამ წაგებული მატჩი მაინც ვერ იხსნეს.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „გიგანტი" (ლაითური) 3:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

ჩვენი გაზეთის 6 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო რესპუბლიკის ჩემპიონატის გამოტოვებულ შეხვედრათა კალენდარი.

12-13 სექტემბერს საქართველოს პირველობის მატჩები ჩატარდება ადრე დამტკიცებული კალენდრის შესაბამისად.

### II ჯგუფი

II ზონა

„კოლხეთი" (ხობი) — „განახლება" (ადიგენი) 3:0, „დინამო" (ქუთაისი) — „განახლება" (ადიგენი) 4:1, „კოლხეთი" (ხობი) — „განთიადი" (აბაშა) 2:0, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „კოლმეურნე" (ქედა) 3:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ჭოროხი" (ბათუმი) 3:1, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 3:1.

### ზონალური გათამაშება

„ქისტაური" (ახმეტა) — „ტიბაანი" (სიღნაღი) 2:3, „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) — „სპარტაკი" (ვანი) 2:3.

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 30 | 19 | 7 | 4 | 61—35 | 45 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 32 | 15 | 12 | 5 | 55—27 | 42 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 31 | 16 | 10 | 5 | 49—25 | 42 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 29 | 16 | 7 | 6 | 49—27 | 39 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 28 | 14 | 10 | 4 | 48—23 | 38 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 29 | 15 | 7 | 7 | 59—31 | 37 |
| „ისანი" (თბილისი) | 29 | 11 | 14 | 4 | 30—21 | 36 |
| „სინათლე" (თბილისი) | 28 | 13 | 8 | 7 | 45—28 | 34 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 32 | 11 | 12 | 9 | 46—41 | 34 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 31 | 13 | 7 | 11 | 41—47 | 33 |
| „სამცხე" (აწყური) | 29 | 9 | 14 | 6 | 26—25 | 32 |
| „მზიური" (გალი) | 29 | 8 | 15 | 6 | 31—27 | 31 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 30 | 8 | 12 | 10 | 31—34 | 28 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 29 | 6 | 12 | 11 | 29—44 | 24 |
| ასკ (თბილისი) | 27 | 9 | 5 | 13 | 27—37 | 23 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 29 | 6 | 10 | 13 | 31—33 | 22 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 29 | 6 | 10 | 13 | 18—33 | 22 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 29 | 5 | 12 | 12 | 31—53 | 22 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 29 | 5 | 11 | 13 | 21—38 | 21 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 30 | 4 | 9 | 17 | 34—68 | 17 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 30 | 3 | 8 | 19 | 30—70 | 14 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 29 | 3 | 6 | 20 | 23—53 | 12 |

**• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •**

# პროექტები, პროექტები...

## 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი — ახალი სისტემით

**ფეხბურთში** მსოფლიო ჩემპიონატის ახლანდელი არსებული ფორმულა შორსაა იდეალურისგან და ამიტომ სამართლიან კრიტიკას იწვევს არა მარტო სპეციალისტების, მწვრთნელებისა და მიმომხილველების, არამედ თვით ფიფა-ს ხელმძღვანელთა მხრივაც. სიძნელეები, მართლაც, ძალიან დიდია. მთელი საფეხბურთო მსოფლიო უნდა დაიყოს წინასწარ ჯგუფებად ისე, რომ არ დაირღვეს ძლიერისა და სუსტის სპორტული პრინციპი და შემდეგაც, უკვე გათამაშების ფინალურ სტადიაში, როცა 16 ფინალისტის დაყოფა ხდება ოთხ ჯგუფად, ჩემპიონატის ორგანიზატორები ხელახალ სიძნელეებს აწყდებიან. ჯერ არ ყოფილა მსოფლიო ჩემპიონატი ისე, რომ ძალთა სრული თანაფარდობისთვის მიეღწიათ ჯგუფებში 16 ფინალისტის განაწილებისას.

ამიტომ გადაწყდა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ახლებური წესით ჩატარდეს. ასე აქვს განზრახული ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას და მან თხოვნით მიმართა მის რიგებში შემავალ ეროვნულ ფედერაციებს თავიანთი პროექტები წამოაყენონ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების რეორგანიზაციის შესახებ.

ფიფა-ს წინადადებას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა უეფა-ს ვიცე-პრეზიდენტი, უნგრელი შ. ბარჩი. მისი წინადადებით, ფინალში 16 ნაკრების ნაცვლად უნდა გავიდეს 32 გუნდი და გათამაშების I და II ტურები ოლიმპიური სისტემით გაიმართოს. შემდეგ 8 გამარჯვებული გუნდი დაიყოფა ორ ჯგუფად, სადაც თამაშები იწარმოებს წრიული სისტემით, ხოლო ჯგუფებში გამარჯვებულნი ჩემპიონის წოდებას გაითამაშებენ. ჯგუფებში II ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს ბრინჯაოს მედლებს შეეცილებიან.

ბარჩმა ხაზი გაუსვა, რომ მისი სისტემით ფინალის ჩატარებისას საჭიროა 20 დღე, ესე იგი იმდენივე, რამდენიც უწინ იყო.

# ოლიმპიური ტურნირი

**ციურიხი**, 8 სექტემბერი. 84 ქვეყანამ განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს მორიგ ოლიმპიურ საფეხბურთო ტურნირში — ასეთი ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საშტაბო ბინამ. ევროპიდან ოლიმპიადაში ითამაშებს 24 გუნდი, აფრიკიდან — 20, აზიიდან — 17, ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკიდან — 13, სამხრეთ ამერიკიდან — 10.

ფინალურ ტურნირში, რომელიც 1972 წელს გაიმართება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გავა 16 გუნდი, ხოლო დანარჩენები ამ რიცხვში მოსახვედრად გაივლიან შესარჩევი თამაშების ციკლს. ამ ეტაპის კენჭისყრა მოხდება 25-26 სექტემბერს მიუნხენში. შესარჩევი თამაშების გაუვლელად, უშუალოდ ფინალში ითამაშებენ უნგრელები (ოლიმპიური ჩემპიონები) და გფრ-ის ფეხბურთელები (ფინალური ტურნირის მასპინძლები).

# „რეიმსის" დაბრუნება

**ფრანგული** ფეხბურთის ბევრი წარმატება კლუბ „სტად დე რეიმსთანაა" დაკავშირებული. ეს გუნდი ორჯერ გავიდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში, არაერთხელ იყო რესპუბლიკის ჩემპიონი და თასის მფლობელი, მისი მოთამაშეები შეადგენდნენ ნაკრების ბირთვს, რომელიც 1958 წელს III ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონატში. ყველას პირზე ეკერა კოპას, პიანტონის, ვენსანის, ჟონკეს და სხვათა სახელები.

შემდგომში „რეიმსი" დაძაბუნდა და უმაღლესი ლიგაც დატოვა. ახლა ფრანგი ფეხბურთის გულშემატკივრები სიხარულით შეხვდნენ ამ გუნდის ახალ წარმატებას — უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას.

# პელე — ჟიურის თავმჯდომარე

**მალე** რიო-დე-ჟანეიროში დაიწყება სიმღერის ტრადიციული ფესტივალი, რომლის ჟიურის თავმჯდომარედ არჩეულია... პელე. ეს ბრაზილიელთათვის არაა მაინცდამაინც მოულოდნელი რამ, ვინაიდან პელე არა მარტო „ფეხბურთის მეფეა", არამედ პოპულარული სიმღერების ავტორიც.

რაკი ფესტივალი ემთხვევა საფეხბურთო სეზონს (იწყება ბრაზილიის შტატების პირველობათა გათამაშება), მისმა ორგანიზატორებმა დაადგინეს გამოყონ სპეციალური თვითმფრინავი, რომელიც პელეს სან-პაულუდან რიო-დე-ჟანეიროში და უკან ატარებს.

# მოკლედ

● **ნიცა.** აქ შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ფრანგმა ფეხბურთელებმა — 3:1.

● **ლონდონი.** ფიფა-მ დაამტკიცა ახალი საერთაშორისო შეჯიბრების პროექტი, რომელიც დიდ ბრიტანეთში ჩატარდება. მასში მონაწილეობას მიიღებს ინგლისისა და შოტლანდიის 6-6, ჩეხოსლოვაკიისა და უელსის 2-2 გუნდი მათი რიცხვიდან, ვინც არ თამაშობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, თასების მფლობელთა თასზე და საბაზრო ქალაქების თასზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშისტური უღლისგან ბულგარეთის განთავისუფლების 25 წლისთავის გამო

# აღმავლობის გზაზე

ბულგარეთში მომხდარმა ეკონომიურმა და კულტურულმა გარდაქმნებმა ამ ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის სწრაფი განვითარებაც გამოიწვია.

ქვეყნის 8.400.000 მცხოვრებიდან 1.800.000 კაცი ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის წევრია. 560.000 მუშა-მოსამსახური, 380.000 გლეხი-კოოპერატორი და 340.000 მოსწავლე 942 ფიზკულტურულ საზოგადოებაში (787 — სასოფლო, 155 — საქალაქო) და 6338 ფიზკულტურულ კოლექტივშია გაერთიანებული.

ბულგარეთში შესანიშნავი პირობებია შექმნილი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის. აშენებულია 16.000-ზე მეტი სპორტნაგებობა: 23 დახურული დარბაზი, 507 სტადიონი, 388 დახურული და ღია საცურაო აუზი, ფეხბურთის 2785 მინდორი, კალათბურთის 2280 და ფრენბურთის 5187 მოედანი, 1441 ფიზკულტურული დარბაზი, 174 სტადიონი სპორტული თამაშებისთვის, 81 სანიჩბოსნო ბაზა, ცემენტის 14 ველოდრომი და ა. შ.

სპორტული კადრების მომზადებისთვის გახსნილია 21 სპორტული სკოლა, სპორტული სასწავლებელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი.

ბოლო წლებში ბულგარეთში ხშირად ტარდება დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები, მათ შორის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები. მაგრამ ყველაზე დიდი სპორტული შეჯიბრება მაინც რესპუბლიკური სპარტაკიადაა. ამ ასპარეზობებში მილიონობით სპორტსმენი მონაწილეობს. მაგალითად, პირველი სპარტაკიადის სტარტებზე 1.800.000 კაცი გამოვიდა, მეორე სპარტაკიადაში კი 2.662.000 ჭაბუკი და ქალიშვილი ჩაება. III სპარტაკიადა (1965-1969 წლები) რამდენიმე ეტაპად გაიმართა. პირველ ეტაპზე სტარტი 2.178.000 კაცმა აიღო, მეორეზე — 2.345.000 სპორტსმენმა.

ყოველდღიური პრაქტიკა ფიზკულტურული მოძრაობის სულ ახალ და ახალ ფორმებს განაპირობებს. განსაკუთრებით სასარგებლო და ეფექტური გამოდგა 1963 წელს წამოყენებული წინადადება ზამთრის პირობებში სპორტში მასობრივად მეცადინეობის თაობაზე. მას შემდეგ „ზამთრის სასკოლო შეჯიბრებებში" და „სპორტულ ზამთარში" მილიონნახევარზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მონაწილეობს.

იზრდება მასობრივი საშემოდგომო და საგაზაფხულო კროსების, ველორბოლების მონაწილეთა რიცხვი. ბულგარელ ახალგაზრდობას უყვარს ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, მძლეოსნობა, ტანვარჯიში და სხვა სახეობები.

ბულგარეთის კომუნისტური პარტია დიდად ზრუნავს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის, მდიდარი სპორტული ბაზის შექმნისთვის. ამ ზრუნვისა და სისტემატური წვრთნის შედეგად ბულგარელმა სპორტსმენებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვეს.

ბულგარელი ფეხბურთელები სამჯერ მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში: ჩილეში, ინგლისსა და მექსიკაში. ამ ქვეყნის ფრენბურთელები და კალათბურთელები ევროპის საუკეთესო სპორტსმენთა პირველ რიგებში არიან. ევროპის ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში ბევრჯერ მოუპოვებიათ მედლები ბულგარელ მოკრივეებს. მოჭადრაკეები წარმატებით გამოდიან საერთაშორისო ტურნირებში. შარშან ბულგარელმა სპორტსმენმა ქალებმა მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიო პირველობა მოიგეს, მათმა ლიდერმა მ. გიგოვამ კი აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. ბევრი ჯილდო დაისაკუთრეს მოჭიდავეებმა — ბულგარელთა ტრადიციული და საყვარელი სპორტის წარმომადგენლებმა.

1969 წელს ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ი. ილიევი და პ. კრუმოვი. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპულ ტურნირში, რომელიც სოფიაში ჩატარდა, ოთხმა ბულგარელმა მოჭიდავემ მოიგო ჩემპიონის ტიტული. მძლეოსანი მ. ჟელევი კონტინენტის ჩემპიონი გახდა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში. ძალოსნებმა ა. კიროვმა და მ. კუჩევმა ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარეს.

წლეულს ბულგარელმა მოჭიდავეებმა კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწიეს: ბერლინში, ევროპის პირველობაში, მათმა ხუთმა წარმომადგენელმა დაიკავა I ადგილები. პ. კიროვი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ბულგარეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კავშირს მსოფლიოს 5 კონტინენტის 43 ქვეყანასთან აქვს ურთიერთობა. ბულგარეთი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში და თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო სპორტული მოძრაობის დემოკრატიულ განვითარებაში — იგი 84 საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის, ფედერაციისა და გაერთიანების მუშაობაში მონაწილეობს.

ი. ფიჩევი,
„სოფია-პრესის" მიმომხილველი.

## ახალი ამბები

● პლზენი, 8 სექტემბერი. მეგობრული არმიების ტყვიის მსროლელთა ჩემპიონატში წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას მინსკელი ვ. პარხიმოვიჩი. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში ბრწყინვალე მიღწევის (600 ქულა 600-დან!) შემდეგ მან მცირეკალიბრიან სტანდარტშიც (3X40) აჯობა ყველას და ისევ მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი მოიპოვა — 1167 ქულა. დგომელა სროლაში პარხიმოვიჩმა 380 ქულა დააგროვა, რაც ქულით აღემატება მსოფლიო მიღწევას, ხოლო წოლელა სროლაში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — ყველა ტყვია ზუსტად „ათიანში" გაგზავნა. პარხიმოვიჩის თანაქალაქელმა ი. ბაკალოვმა გაიმარჯვა პისტოლეტით სწრაფსროლაში — 594 ქულა. ქულით ნაკლები აქვს ოლიმპიურ ჩემპიონს ი. ზაპენძკის (პოლონეთი).

● კილი, 8 სექტემბერი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აფროსანთა ღია ჩემპიონატი 1972 წლის ოლიმპიურ სარბიელზე — კილის ყურეში გაიმართა. რეგატამ ბევრ ცნობილ სპორტსმენს მოუყარა თავი. ახლანდელ ოლიმპიურ კლასებში გაიმარჯვეს: „მფრინავი ჰოლანდიელი" — რ. პატისონმა (ინგლისი), „ვარსკვლავისებური" — ს. ვენერსტრემმა (შვეცია), „სოლინგი" — პ. ელვსტრემმა (დანია), „ფინი" — ი.-მ. სმითმა (ინგლისი), „ურჩხული" — პ. სუნდელინმა (შვეცია), „ტემპესტი" — ჯ. ნაითსმა (ინგლისი).

● ოსნაბრიუკი (გფრ), 8 სექტემბერი. ადგილობრივი სტადიონის სინთეტიკურსაფარიან ბილიკზე 28 წლის ჰ. მეცმა 100 მეტრზე რბენაში ევროპის რეკორდი გაიმეორა — 10 წამი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1968 წელს მეცმა ეს მანძილი 10,3 წამში გაირბინა, ხოლო შარშან — 10,2 წამში.

● სპა, 8 სექტემბერი. ბელგიის ამ პატარა ქალაქში გაიმართა რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის VII ევროპული ჩემპიონატი ცურვაში. გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო საბჭოთა „ლოკომოტივი", რომელმაც 214 ქულა მოაგროვა. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ოქროს 11, ვერცხლის 6 და ბრინჯაოს 2 მედალი დაისაკუთრეს. II ადგილზე გავიდა პოლონეთის გუნდი — 112 ქულა, ხოლო III — იტალიის კოლექტივი — 61. საბჭოთა სპორტსმენთაგან პირადი შედეგები გააუმჯობესეს: მოსკოველებმა ს. იზიუმოვმა (100 მ ბრასით—1.12,6), ვ. სპირიდონოვმა (200 მ თავისუფალი სტილით—2.08,3), დონეცკელმა ვ. კრავჩენკომ (100 მ თავისუფალი სტილით — 1.02,2) და სხვ.

● ჰელსინკი, 8 სექტემბერი. ფინეთისა და შვეციის მძლეოსანთა მატჩში ფინელმა ნევალამ 92,64 მეტრზე ტყორცნა შუბი. ეს შედეგი ხუთ 6 სანტიმეტრით ნაკლებია ნევალას თანამემამულე კინუნენის მსოფლიო რეკორდზე.

## ახალი ამბები




### „მის უნივერსიადა-70"

ტურინში, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაში საასპარეზოდ კანადის მძლეოსანთა გუნდი მაინცდამაინც დიდი გეგმებით არ ჩასულა. წარმატების უმნიშვნელო შანსები ჰქონდათ მხოლოდ სტაიერ ვაჟებსა და სპრინტერ ქალებს. ვაჟებს ბედმა უმტყუნა, ქალებმა კი ყოველმხრივ გაამართლეს იმედი. 200 მეტრზე რბენაში ო. დოკერი V ადგილზე გავიდა. რაც შეეხება მეორე სპრინტერს დ. ჯონსს, მან აღიარება სარბენ ბილიკზე კი არ ჰპოვა, არამედ სხვა სფეროში — ჟურნალისტთა კონკურსში: ტურინში აკრედიტებულმა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა დიანა ჯონსს „მის უნივერსიადა-70"-ის ტიტული მიაკუთვნეს.

როგორც იტალიური პრესა აღნიშნავს, ელეგანტური ჯონსისთვის ამ წარმატებას მაინცდამაინც დიდი სიხარული არ მოუტანია.

— მე უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, მძლეოსნურ ბილიკზე რომ გამომეჩინა თავი, — განაცხადა „მის უნივერსიადამ".

ამ სურათზე აღბეჭდილია დ. ჯონსი, რომელიც ფოტოობიექტივის წინ კეკლუცობის ხელოვნებას საკმარისად ყოფილა დაუფლებული.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

… $19^{45}$

✦ 8 სექტემბერს შედგა „ა" კლასის I ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე: „პამირი" (დუშანბე) — „ალგა" (ფრუნზე) 2:1, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:1, „კარპატი" (ლვოვი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:1, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 2:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ყაირათი" (ალმა-ათა) 1:0, ასკ (კიევი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:1, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:2, „დაუგავა" (რიგა) — „დინამო" (ლენინგრადი) 1:2.

ამავე დღეს თამაშობდნენ „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის გუნდებიც: „ფოლადი" (სუმგაითი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:2, „დინამო" (კიროვაბადი) — „სატურნი" (რიბინსკი) 0:0, „სტალი" (ვოლგოგრადი) — „ლოკომოტივი" (კალუგა) 0:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „მეტალურგი" (ტულა) 0:0, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „დინამო" (ბრიანსკი) 1:0, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „სალუტი" (ბელგოროდი) 1:0, „მაშუკი" (პიატიგორსკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:0, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) „ტრუდი" (ვორონეჟი) 1:1.

◆ მოსკოვი, 9 სექტემბერი. სსრ კავშირის მოფარიკავეთა ნაკრები, რომელსაც სათავეში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები უდგანან, დღეს ანკარაში გაფრინდა მსოფლიო პირველობაში საასპარეზოდ. უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში საბჭოთა მუშკეტერებს არავისთვის დაუთმიათ ჩემპიონატის მთავარი პრიზი — ეროვნებათა თასი. ქვეყნის ღირსებას დაიცავენ: რაპირისტები ვ. სტანკოვიჩი (ლვოვი), ლ. რომანოვი, ვ. ლუკიანჩენკო (ორივე — მოსკოვი), ვ. პუტიატინი (კიევი), ა. კოტეშევი (ნოვოსიბირსკი), ა. ზაბელინა, გ. გოროხოვა, ვ. ბუროჩკინა (სამივე — მოსკოვი), ე. ბელოვა-ნოვიკოვა, ტ. სამუსენკო (ორივე — მინსკი), ს. ჩირკოვა (ტალინი), ესპადრონისტები ვ. სიდიაკი, ს. პრიხოდკო (ორივე — მინსკი), მ. რაკიტა, ვ. ნაზლიმოვი (ორივე — მოსკოვი), ე. ვინოკუროვი (ლენინგრადი), დაშნის ოსტატები გ. კრისი, ს. პარამონოვი (ორივე — კიევი), ა. ნიკანჩიკოვი (მინსკი), გ. ზაჟიცკი (ტალინი), ი. ვალეტოვი (ალმა-ათა). ჩემპიონატი 13 სექტემბერს დაიწყება. ბილიკზე პირველნი რაპირისტები გამოვლენ.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე—93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები—93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.